ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

დამტკიცებულია
ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის
სახელობის სკოლა-გიმნაზიის დირექტორის
ბრძანება №60 01.08.2024 წ

2024 წ

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 2. სკოლა-გიმნაზიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები

მუხლი 4. პროცედურები

მუხლი 5. შესაფასებელი სფეროები

მუხლი 6. მონაცემების შეგროვების წყაროები

მუხლი 7. შემაჯამებელი ანგარიშის წარმოდგენა

მუხლი 8. თვითშეფასება

ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზია

ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, შეფასების და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს;

2. დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიაში (შემდეგში - სკოლა-გიმნაზია) სწავლა/სწავლების ხარისხი.

მუხლი 2. სკოლა-გიმნაზიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

1. სკოლა-გიმნაზიაში მომქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას, ინტერვენციის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენას და ასე შემდეგ, უწყვეტ, გაუმჯობესებისკენ მიმართულ პროცესს;

2. სკოლა-გიმნაზიის შიდა კონტროლს განახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური.

3. ხარისხის მართვის სამსახური:

ა) ხარისხის მართვის სამსახური წარმოადგენს ორგანოს, რომელიც ზრუნავს სკოლა-გიმნაზიის თითოეული რგოლის მუშაობის მაღალი შედეგების მიღწევაზე;

ბ) ხარისხის მართვის სამსახურის მიზანია სკოლა-გიმნაზიის საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფა და განვითარება;

გ) ხარისხის მართვის სამსახურის ამოცანაა სკოლა-გიმნაზიის ფუნქციონირების კონტროლი და გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად ოპტიმალური გზების ძიება;

დ) ხარისხის მართვის სამსახურის ფუნქციაა სკოლა-გიმნაზიის თითოეული რგოლის ფუნქციონირებაზე სისტემატურად ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი პრობლემების ანალიზი, დიაგნოსტიკა და

გაუმჯობესების გზების ძიება;

ე) ხარისხის მართვის სამსახურთან თანამშრომლობს მშობელთა სათათბირო;

ვ) ხარისხის მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს მენეჯერი, რომელსაც ნიშნავს სკოლა-გიმნაზიის დირექტორი;

ზ) ხარისხის მართვის სამსახურის მუშაობას უზრუნველყოფს ძირითადი - მონიტორინგის ჯგუფი და დამხმარე-პედაგოგიური საბჭო.

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები

1. სკოლა-გიმნაზიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებაზე კონტროლს ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს ეროვნული სასწავლო გეგმის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, საქართველოს კანონმდებლობის, სკოლა-გიმნაზიის დებულების, შინაგანწესის, ამ წესის და სხვა შიდასასკოლო დოკუმენტაციის გათვალისწინებით;

2. სკოლა-გიმნაზიის ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია სკოლა-გიმნაზიის დირექტორის წინაშე, ახორციელებს თანამდებობრივი ინსტრუქციებით მისთვის დაკისრებულ უფლებამოსილებებს;

3. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას ხელმძღვანელობს სკოლა-გიმნაზიის ხარისხის მართვის მენეჯერი, სკოლა-გიმნაზიაში სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესს გეგმავს და ზედამხედველობას უწევს შიდა მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით;

4. მონიტორნგის ჯგუფი უფლებამოსილია:

ა) სისტემატურად აწარმოოს სკოლა-გიმნაზიაში სასწავლო პროცესზე და ყველა რგოლის მუშაობაზე დაკვირვება;

ბ) ჩაატაროს გამოკითხვები ცალკეული რგოლის მუშაობის ხარისხის შესამოწმებლად;

გ) შეისწავლოს მოსწავლეთა და მათი მშობლების, თანამშრომლების პრობლემები და რეკომენდაციები;

დ) დირექტორის დავალებით აწარმოოს ცალკეული პრობლემური საკითხის

დისციპლინური გადაცდომის მოკვლევა;

ე) შეამოწმოს სწავლა/სწავლების ხარისხი;

ვ) შეამოწმოს სკოლა-გიმნაზიის თითოეული რგოლის საქმიანობის ხარისხი;

ზ) შეისწავლოს სკოლა-გიმნაზიის განვითარების სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამუშაო გეგმის შესრულების ხარისხი;

თ) სისტემატურად წარუდგინოს სტატისტიკური მონაცემები ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს და დირექტორს.

5. მონიტორნგის ჯგუფი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პედაგოგები ოპერატიული ინფორმაციით, საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებისა და ინოვაციური საგანმანათლებლო მეთოდების შესახებ;

ბ) იზრუნოს მოსწავლეთა სწავლის ხარისხის, დისციპლინის გაუმჯობესებაზე;

გ) იზრუნოს ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე, თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე, ტრენინგების, მასტერკლასების, სემინარების ჩატარების გზით;

დ) სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად დირექციას შესთავაზოს მაღალ შედეგებზე გასვლის ეფექტური გზები.

6. მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან:

ა) დირექტორის მოადგილე დღის ცენტრის ხელმძღვანელი;

ბ) დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

გ) ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი

დ) ფსიქოლოგი

7. მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობას ამტკიცებს სკოლა-გიმნაზიის დირექტორი.

მუხლი 4. პროცედურები

1. სკოლა-გიმნაზიის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველი სემესტრის დაწყებამდე

კლვევის შედეგად ადგენს საჭიროებებს და შეიმუშავებს მიმდნარე სემესტრში განსახორციელებელი აქტივობების გეგმას, რომელსაც წარუდგენს დირექტორს;

2. დირექტორის მიერ, წარდგენილი გეგმის მოწონების შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზიის ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას;

3. ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, სკოლა-გიმნაზიის ხარისხის მართვის მენეჯერი განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს სკოლა-გიმნაზიის დირექტორს, ასევე, აცნობს მას სასკოლო საზოგადოებას.

მუხლი 5. შესაფასებელი სფეროები

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასებას ექვემდებარება შემდეგი სფეროები:

ა) სადამრიგებლო პროგრამის ეფექტური მუშაობა;

ბ) კათედრების მუშაობა;

გ) მასწავლებლების პორტფოლიოს წარმოება;

დ) ელექტრონული ჟურნალების წარმოება;

ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მომსახურების ხარისხი;

ვ) შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების თემატიკის, ფორმისა და გრაფიკის შესაბამისობა სასკოლო სასწავლო გეგმასთან;

თ) მოსწავლეთა დაგვიანება და გაცდენები;

ი) ტესტირებების დინამიკაში შეფასება და მისგან გამომდინარე, შედეგების ანალიზი;

კ) პედაგოგების შეფასება;

ლ) მშობელთა ჩართულობა;

მ) გახანგრძლივებული დღის ჯგუფში გაკვეთილების მომზადების ხარისხი;

ნ) სხვა მნიშვნელოვანი სფეროები, მისი აქტუალობიდან გამომდინარე, რაც უკავშირდება სწავლების ხარისხს.

მუხლი 6. მონაცემების შეგროვების წყაროები

სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასება ხორციელდება შემდეგი წყაროებიდან მოპოვებული ანალიზის საფუძველზე:

ა) სკოლა-გიმნაზიის დოკუმენტაცია;

ბ) გეგმიური ანკეტირება მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან;

გ) ინტერვიუ სამიზნე ჯგუფებთან;

დ) საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება;

ე) სხვა სახის წყაროები, საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მუხლი 7. შემაჯამებელი ანგარიშის წარმოდგენა

1. ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობები ჯამდება. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რომელიც წარედგინება სკოლა-გიმნაზიის დირექტორს;

2. შემაჯამებელი ანგარიში ასევე წარედგინება სასკოლო საზოგადოებას;

3. მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება განხორციელდება მიღებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით.

მუხლი 8. თვითშეფასება

1. სკოლა-გიმნაზიის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრის მიზნით სკოლა-გიმნაზიის ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ატარებს SWOT ანალიზს და მონიტორინგის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს თვითშეფასებას.